

## ქ. ფრანკფურტში (გერმანია) სტაჟირების კონკურსი

### ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების (V – XII კლ.) შესარჩევ კონკურსს გერმანიაში, გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში (ქ. ფრანკფურტი) ერთკვირიანი სტაჟირებისათვის.

კონკურსის შედეგად შეირჩევა: ქართული ენისა და ლიტერატურის (V – XII კლ.) 10 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, საჯარო სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

#### ✓ კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

- ✓ უნდა იყოს მოქმედი უფროსი/წამყვანი/მენტორი პედაგოგი;
- ✓ კანდიდატი უნდა ასწავლიდეს შესაბამის საგანს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ საჯარო სკოლაში;
- ✓ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი არ უნდა იყოს ნამყოფი აღნიშნულ ინსტიტუტში.

#### ✓ საჭირო დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ჩატარებული გაკვეთილის გეგმა აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (*word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს სამი გვერდი, A4 ფორმატი, Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5*)
4. ჩატარებული გაკვეთილი Power Point პრეზენტაციის სახით (*8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10-12 წუთი*); *შენიშვნა: პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს აქტივობის განხორციელების ამსახველ ფოტო ან ვიდეო მასალას!*)
5. უფროსი/წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. შესაბამისი საგნის მასწავლებლობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან.

- ✓ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [ajaraedufund@gmail.com](mailto:ajaraedufund@gmail.com)
- ✓ მასალის წარდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 14 თებერვალი (18.00 სთ).
- ✓ წერილის ველში აუცილებლად მიუთითეთ საგნობრივი მიმართულება

**შენიშვნა:**

1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!
2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!

- ✓ კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

- ✓ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

ლალი ლომთათიძე

(დირექტორის მოადგილე),

საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121

ელ-ფოსტა: [ajaraedufund@gmail.com](mailto:ajaraedufund@gmail.com)